



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №19
2017 წლის 22 აგვისტო
ქ. სენაკი

**სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადმოცემული ქონების
სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის თაობაზე**

„აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №588 განკარგულების საფუძველზე, თხილის ფართობების ორჯერადი დამუშავებისათვის სენაკის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით გადმოეცა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 14 ივნისის №1/1-1337 ბრძნების პირველ მუხლში მითითებული მოძრავი ქონება. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ თხილის ფართობების დამუშავება განხორციელდა ერთჯერადად სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს წერილის საფუძველზე, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 18 აგვისტოს №5/42629 წერილით ითხოვს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ნაშთის სახით დარჩენილი ბიფენტრინის შემცველი ინსექტიციდის სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას, შემდგომში სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 108-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის და სსიპ -სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 18 აგვისტოს №5/42629 მომართვის საფუძველზე

1. სენაკის მუნიციპალიტეტისათვის დამატებითი ქონების სახით გადმოცემული და ნაშთის სახით არსებული ბიფენტრინის შემცველი ინსექტიციდი (816,5 ლიტრი) გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, შემდგომში სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერი ლაშქარავა